

მშობლებს


ქართული
ხელმოწერა 30

მ ა შ ბ რ ა ს ი 1917

შ ი ნ ა ა ხ ი: ორიოდ სიტყვა — რედაქცია, მოწინავე, დედა და შვილი — მორიელი, ყვავის ტუზი — ეშმაკი, მასწავლებლის წერილი — სტრფოსთან — ლოთი-ფოთი, გაკვეთილები — ეშმაკი, შარადა — კოლო, ციხები — კი, სიჩაღეში აფიც-

რობა, პირდაპირი თარგმანი — კაკო, სამაგალითო აღზრდა, ს უ რ ა თ ე ბ ი: დედა-ენა და რუსი მასწავლებელი სოფლის სკოლაში, „შეგარდები“ და ყვავი, ფიზიკური ვარჯიშობა და სხვა.

დედა-ენა და რუსი მასწავლებელი სოფლის სკოლაში.



უჩიტელი. ბირო! კაკ ზვართ ტვოიუ მამუ? ვანო?..
ნიკო. (ვანოს ჩურჩულით) ბიკო, გეკითხება რა ჰქვია მამა შენსო ვანო. (გაბედულათ) მოიუ მამუ ზვართ დავით!
უჩიტელი. Осеах!

ორიოლა სიტყვა

ს კ მ ლ

16 ივნისი
1937 წლის

„ხელ მართო კაცი ჰაზაშის ბრალიო“, უთქვამს ქართველ ხალხს.

ამხანაგი ეშმაკის საქმეც სწორეთ ასეა. ვერ-სად ისე ფეხს ვერ გადადგამს, რომ მიზეზიან ზაგუ-ვებივით თან არ აედევნოს

ამხ. მორიელი,

ამხ. კოლო,

ამხ. სამართებელი,

ამხ. — კი,

ამხ. ტორილი,

ამხ. ისტორიკოსი,

ამხ. ლარი და თითქმის მთელი რედაქცია.

ყოვლად მოუხერხებელია იმათი კაპრიზის დაქმყოფილება. არც კომფერტი, არც შაქარი, არც თხილი, არც არავითარი ტკბილეული მათზე არა სჭრის და უკან მისდევენ ამხანაგ ეშმაკს.

აი ახლაც ეშმაკი საჩქარო საქმეებზე აფხა-ზეთში გაიწვიეს და ზემოხსენებული პირნიც ატყდენ: ჩვენც უნდა წავიყვანოთ, მეტი გზა არ არის, უნდა წაიყვანოს და აი სწორეთ ამან გამოიწვია ის სამწუხარო მოვლენა, რომ განსაზღვრულ დროსათვის დანიშნული სასკოლო ნომერი ეშმაკის მათრახისა ახლა გამოდის. მკითხველი თითონაც მიხვდება, რომ ეს ნომერი რეაქციის დროს შედგენილია, რომ ახალს ვითარებას არ შეეფერება და ამიტომაც ვუცდიდით შესაფერ მომენტს. მაგრამ ვინაიდან გარემოებამ გვიძულა, ვკანდიერდებით მიესცეთ მას მსვლელობა ამ შეუფერებელ პირობებში.

რედაქცია.



ჩვენს სახელმწიფოში სამი ტიპის სკოლა არსებობს:

- დაბალი,
- საშუალო,
- მაღალი.

ჩვენ ვეცდებით, შეძლებისა და გვართ განვმარტოთ თითოეული ტიპი სკოლისა და მით საკითხს განკვეთილი სახე მივცეთ. რა თქმა უნდა ჩვენი განმარტება არ იქნება უნაკლებლო, მაგრამ განათვით სკოლა კი არის უნაკლებლო?

დაბალი სკოლა. დაბალ სკოლებს აშენებენ საზოგადოთ სოფლებში დაბალ ხალხისათვის, ხშირად ქილაქებშიაც. სიტყვა „დაბალი“ არ მიეწერება სასკოლო შენობას, ვინაიდან შეიძლება სახლი სამსართულიანიც იყოს, როგორც, მაგალითად, სოფ. კულაში, მაგრამ მამაც დაბალი სკოლა იყოს. საქმე იმაშია, რომ სიტყვა „დაბალი“ გამოხატავს სწავლის ღირსებას. დაბალ სკოლას ხელმძღვანელობს „უჩიტელი“, რომელსაც უმეტეს ნაწილათ ეძახიან „ბატონო“-ს. „უჩიტელი“ უნდა იცოდეს რუსული, საღმრთო სჯული და ღვინის სმა. შეუძლია კარტის თამაშაც შეისწავლოს. აღნიშნულ მეცნიერებაშიაც შეუძლია დაბალი ღირსების მოზადება ჰქონდეს.

„უჩიტლის“ პირდაპირი უფროსი ბ.ნი მწერალია, შემდეგ მამასახლისი, პრისტატი, მზრის უფროსი, ინსპექტორი, დირექტორი, გუბერნატორი, ოკრუგის ინსპექტორი და ოლქის მზრუნველი, შემდეგ მინისტრები და ღმერთი.

პროგრამა დაბალი სკოლისა პირდაპირ ცხოვერ-შიდან არის დადებული. 1) საღმრთო სჯულიდან ასწავლიან ქვეყნის გაყენას და მსხვერპლის შეწირვას (აქედან აღმოცენდა ძვენი მასწავლებლებისადმი. 2) ბუნების მეტყველებიდან: „შაქარი ტკბილია, ბროწეული მთავია,“ 3) ანგარიშიდან: ელნიცა, დვოიკა, ტროიკა და სხვა. მთელს ამ პროგრამას გადიან სამო-ოდე წლის განავლობაში. დაბალი სკოლიდან უფრო მდიდრები გადიან საშუალო სკოლაში, უმეტეს სობა კი უბრუნდება პირველყოფილ მდგომარეობას.

საშუალო სკოლა. საშუალო სკოლას ეწო-




დება გიმნაზია და აშენებენ ქალაქებში. გიმნაზიის განაგებს დირექტორი, მასწავლებლები და აღმზედ-ლები. აქ ამწიფებენ ახალგაზდობას და თუ გიმნაზიის გათავებამდე თავი არ ჩამოიხრჩო აძლევენ სიმწიფის მოწმობას. ასეთი შემთხვევა იშვიათია. საშუალო სკოლის პროგრამის შესახებ იხილეთ ცალკე წერილი ამავე ნომერში. გარეშე იმ პროგრამისა აქვე სწავლობენ პაპიროზის წვეს და უბილეთოდ თეატრში სიარულს.

უმაღლესი ხასწავლებელი. უმაღლესი სასწავლებელს უნივერსიტეტი ეწოდება. იმას აშენებენ სატახტო ქალაქებში, უფრო ხშირათ გარე უბნებში. უნივერსიტეტს განაგებენ: გრადონაჰალნიკი, რექტორი და პროფესორები. შიგ მოსიარულე ხალხს სტუდენტებს ეძახიან. სტუდენტები უფრო ხშირათ ლურჯ სარტყელიან ქუდს და ლურჯ ბლუზას ატარებენ.

უნივერსიტეტში სწავლობენ, ვიდრე არ მოსწყინდებათ. ვინც მეტ უნარსა და სიფხიზლეს იჩენ ისეთი სტუდენტები უნივერსიტეტიდან სახელმწიფო ხარჯით გადაჰყავთ სატუსალოებსა და ციმბირის შორეულ გუბერნიებში. უფრო მდარე ხალხი ბრუნდება სამშობლოში ექიმის და ვეჟილის სახით. პირველის მოვალეობაა გასწმინდოს ქვეყანა ავთიმყოფებისაგან, ხოლო მეორე ცდილობს არ დაიხაროს დამნაშავე უდანაშაულოსაგან.

არის სხვა დარგის სასწავლებლებიც, მაგრამ იმით შესახებ შემდეგ.



დედა და შვილი

(ყვავი და ბახალა)

- გამარჯობა, ქალო შენი!
 - გაიმარჯოს, გენაცვალე!
- (ყვრე ტკბილათ შეხედნენ გუშინ აგრაფინა და ბახალე!)

— რაქნა, რატომ გენიან ახლადე, ვერც ქუჩაზე, ვერც ბუჩქნარში? ქალო, ქმარი რომ იშოვნე, აღარ გამოიღიხარ კარში?

— რა ვენა, დია, მეც კი ბინდა გარეთ ყოფნა და ნაფარდი, მაგრამ ჩემი ტრეუნის აღარ მიშვებს არსათ დარდი.

— ომერთო სული ამოხადე! განა შეიღოსაც მოესწარი?

— ქალო, როგორ მეკითხები? ახლა მეშვიდეში არი ექვსი წელი, გუშინასწინ შეუხსრულდა, ქალო, ამის.

— მითხარი, შენ გენაცვალე, დედას უფრო გავს, თუ მამას?

— სახით მე მგავს, მაგრამ ჰკუთთ, მამაა პირწყავარდნილი.

(ანკი, სახით რისთვის უნდა დაემსგავსოს მამას შვილი?)

რომ განახა, გენაცვალე, მისი ხერხი, მისი ნიჭი იტყვი: რამე გამოვოა უჩვეულო, ჩემი ბიჭი.

ჯერ ბუთი წლის არც კი იყო, მამას წვერი რომ შერუჯა და მოსამსახურე გოგოს ტაფით სახე ჩაულურჯა.

რასმე იმფერს მოიგონებს, რომ არც იცი რა დაარქვა... აი, შარშან, ნიკოს საათს მიეპარა, დაარტყა ქვა და გახადა ნაყარ ტუტათ.

თითონ შეტბა, გაიციხა...

— ბოშო, შენ რომ მგავს აშბ იბ თვალწინ მიდგას ჩემი ნინა. კაცის ენა ვერ გამოსთქვამს რას არ იზამს იმის ხელი,

ჰკუთთ რას არ გამოპლანავს ის კუდრაშა, საძაველი. გუშინ, ქალო, სათამაშოთ თავზე ქვაბი დაეხურა,

მაგრამ შენს მტერს, მოსახდელათ იგი „შლაპა“ დარჩა თუ რა!

აღარ იქნა წამოდრობა

ტირის ბაეშვი, ტირის მამა...

რა უნდოდა თავით ქებაში?!

მაგრამ ვითომ ითამამა...

— ნუ თუ ქალო, ასეთია

ის შეათეილა შენი ნინა?

(ჩვენებურის სიამტკბილით
ეკითხება ავრაფინა)

ახლა, ქალო, ამ წინაზე

ძმა შეწვია. ცოლიც ახლდა.

და ჯერ თითქმის ვერ მოგესწროთ

რიგიანათ პალტოს გახდა,

რომ ტყუნამ კიდევ მოსჭრა

ძალუას ქუდს დიდი „პერო“

და სანამ ჩვენ შევნიშნავდით,

კარგათ ნავთშიც ამოერო

გაეტანა და დაეწვა

ეს ძვირფასი სამკაული...

(ხუმრობაა ერთი „პერო“

რვა თუმანი ჯდება ფული!)

როცა ვკითხე, ბიჭმა მითხრა:

„რათ უნდაო თავზე ძუა“?

მოდი შენ და ვაუჯავრდი,

გამტყუნე ბავშის ქუა!..

— ღმერთო ჩემო! რა ყოფილა

ქალი ავი პაწაწინა!

მაგრამ ბიჭი რომ არ იყო

მეგონება ჩემი ნინა.

გუშინ რა ჰქნა იმ ეშმაკმა

არ იკითხავ ახლა ამას?..

ქალო, თურმე „სპალნიაში“

შეებარა ჩუმათ მამას

და მძინარეს, პირ დაღებულს,

ჩააყარა შიგ ნაცარი...

ღუღღუს სული შეებუთა,

დიდ-ხანს ეგდო ცოცხალ მკვდარი...

— ასე არის, გენაცვალე

ბავშვის ქუა, მოხერხება...

მე არ მიყვარს ჩემი ტყუს

გადაჭარბებული ქება,

მაგრამ ის რომ მოიგონებს

სხვას ეგ ფიქრშიც არ გაურბენს:

დაიჭირავს ზოგჯერ კატას,

ზოგჯერ ძაღს და კუდზე უტენს.

ერთხელ კატამ, უსინდისო!

სახე სულ მთლათ დატყუდა...

(სიხანს მარცხისა დასტყუდა...)

გვერთებს კატის კულის წაქრა)

ავი რაა... მოიპარავს

ზოგჯერ ჩექმას, ზოგჯერ პალტოს

და ორიოდ წუთის შემდეგ

ნაკუწებს იხილავ მარტოს.

ოი, დედა ენაცვალოს

იმის ქუას, მის გონებას,

ქალო, თუ კი მოინდობა

რის ვერ შესძლებს მოგონებას.

— ჩემმა გოგომ, გუშინას წინ

მოიყვანა ბოშო კატა...

(აქ, ჩვენ ძვირფას მოსაუბრეთ

ერთი კიდევ მივმატა.

და რადგანაც ახალ მოსულს

რვა ვაგი ყავს, სამი ქალი,

ჩვენ მათ ამბავს ნუ გაყვევით,

თორემ ვი ჩვენი ბრალი).

მორიელი.

უშაკის ტუზი

— თქვენ, დავიდ გიორგიევიჩ, ყვავის ტუზით
უნდა გექრათ წყლან ცხრიანი.— დინჯათ წარმო-
სთქვა ივან ივანჩი ივანოვმა კლასიკური გიმნაზიის
დირექტორმა და ახალ ახალი 29 მანეთიანი ასი-
გნაცია თავისკენ ვადითორია.

— ყველაფერს ბედი და წინდახედულობა სჭი-
რია. ხელოვნურ მწუხარე კილოთი მიუგო სახაზი-
ნო პალატის მოხელე დავით გიორგისძე ქრთამიე-
ვი.— ყვავის დამა და კაროლი მეგონა.

ასე წყნარად, უწყალ-მაყალოთ თამაშობდენ ბან-
ქოს ორი წარჩინებული მოხელე, უკვე მეოთხე სა-
ათია და თითქო განგებო ბედი მხოლოდ ივან ივა-
ნჩის უდიმოდა. ერთხელ რა არის, ერთხელაც არ იბ-
რუნა პირი ბედოვლათ ქართველ მოხელისაკენ.

ორმოცდა ათი თუმანი კარგა ხანია, რაც და-
ვით გიორგიევიჩის ჯიბიდან ივან ივანჩის საფულე-
ში გადაბარგდა. ბანქოს მოხელეთა შორის ივან
ივანჩი ვერ მოიწონებდა თავს დაკვირვებულის თა-



მაშით, მაგრამ უმეტეს ნაწილათ და დღეს კი თითქმის უცვლელად ბედი ეკისვენ ხრიდა სასწორს.

— გონებ ხვალ ეგზამენი გაქვთ,—კრძალვით შენიშნა დავით გიორგიჩმა,—ხომ არ გაბრკოლებთ.

— როგორც გნებავთ, ხვალ ეგზამენი გვაქვს დანიშნული. ძნელია, როცა ხუთ თავისუფალ ადგილზე სამოცამდე მთხოველი მოდის. რა უნდა ჰქნა, იძულებული ხარ ნა კაცს უფრო უთხრა და თვალ-ტრემლიანი უკან გააბრუნო.

— მაშ ალარ დაგიშლით. მეც ხვალ ადრე მისვლა მჭირია სამსახურში, ვგონებ რევიზიის გვიპირებენ. მშვიდობით მოსვენებას გისურვებთ.

— გამაღობთ ნახვისათვის. ხშირ ხშირად შე მოვივლიდეთ, ხოლმე. ჩვენ მუდამ მოხარულნი ვიქნებით თქვენი სტუმრობისა; აღერსიანათ მიაცილა კარებამდე ქ-ნმა მარია ივანოვნამ.

— იქნებ თქვენც მოგიცდეთ ფეხი ჩვენს ოჯახში დღერფნიდან შემოსამხა დავით გიორგიჩმა და ქუჩაში გავიდა.

— რა ჰქენი ადამიანო, გაარიგე რამე?—მოუთმენლად შეეკითხა დარეჯანა ბაკოვნა, ოფლით შეფვირთქლულ ქმარს.

— გავარიგე, გავარიგე! ვადამიტანა ამ დაწვირაკის ხარჯმა. ერთი თავისუფლად ვერ ამომისუნთქია.

— შეგპირდა?

— როგორ თუ შეგპირდა! დედა-კაცო, არც გამეგება რასა ლაპარაკობ. ვანა შეძლება ასეთი რამ იმდენ ხალხში გაუშვილო?

— ქა, მაშ როგორ გაარიგე, თუ არაფერი გათქვამს??

— წავუგებ სამოცდა ხუთი თუმანი. ვანა თითონ არ იცის, ამდენ ფულს ტყვილად არავინ ჩაუყრიდა ხელში? პირველი მაგლითი ხომ არ არის?

— რაქნა, ადამიანო, მარტო შენგან ხომ არ მოუვია?

— შენ ისეთ საქმეზე ილაპარაკე, რომელიცაც გაგეგმოდეს რამე. როგორ უნდა მისცე, როგორ უნდი მიიღო ეს მე უკეთ ვიცი. ამ საქმეში დავბერდი და ახლა ვინდა ქუა მისწავლო?

— უჩიტელნიცამ მიშს შესახებ ყოველივე იმედი დამიკარგა. ნიჭი კი აქვს, მაგრამ ზარმაცია და სწავლა არ ენერხებაო.

— სწავლა რომ ენერხებოდეს, შენეჯერ დარეხებოდა ერთ და იმავე კლასში და გამოავდებდნენ?

— ეს შესამე გიმნაზია იქნება და ენახათ.

— არა, ნეტ! ყველაზე უარესათ მიშა ქრთამივე-მა მიუგო.

— რის მიუგო ერთი! იდგა მუნჯივით ხმა არ ამოუღია.

— მაშ რისთვის მიიღეს, კაცო.

— დირექტორი თითონ ჰკითხავდა. ვანომ დანიანა როგორ დაუწერა პატი.

— ბედი უნდა ყველაფერს, ბედი.

— ეგზამენი ლატარიაა, მეტი არაფერი.

— ვინ იცის, იქნებ მართალიც იყოს პატარა გიმნაზისტების შეხედულოება.

ეშმაკი.

მასწავლებლის შკრილი სატრფოსთან


მას აქვთ, რაკი შენდამი ვცან სიყვარული, ჩემმა გულმა როგორღაც კედლის საათივით „ტიკ-ტაკი“ დაიწყო. შენმა თანდათანობითმა ხშირათ ნახვამ აქა-იქ გაფანტული სიყვარულის ატომებს მოუყარა გულში თავი და რაღაც მომავლის ბედნიერებაზე ოცნების გეგმაც კი აღმიბეჭდა. შენში ვპოვე მე ყველა. შენს მერე აღარაფრად მიღირს აღარც უფროსის ტკბილი შექება, არც წარმატება, აღარც ჩინი და მენდალი—შენ, შენა ხარ ყველა... ჩემო ყველავ! ჩემო სულის ფრთის კალამო, ჩემო ზაფხულის კანიკულა. ჩემო ბზობის დღეც, ჩემო შობის და ყველიერის დასვენებაც. შენით ვცოცხლობ, შენით ვსუნთქავ, ჩემო გულის პრამაქსეც რაც ვინდ ქვასავით მაგარი იყოს კაცი შენს მიკარებას ვერ გაუძლებს, ვერ გაღურჩება დაუღნობელი მთლათ შეიშრობს შენი ალიზარი-ნოვის წამწვანო თვალეტი, რომლებიც პაერში ზავდებიან, ერთი შეხედვით მატყვევებენ. საკმარისია თვლი მოვკრა შენს ღიმილს, დავინახო № 4 ქალაღლისავით თეთრი კბილეტი, რომ შენმა ღიმილმა თავბრუ დამახვიოს და ოცნების სამყაროში მაგრძნობინოს თავი.

ოპ ჩემო სულის ჯერინაო „პიატო“ რომელ ცირკულით დახაზულ გეგმაზე ხარ შექმნილი, ესეთი კარგი? სად იშოვნეს ის კუმეტი მელანი, რომლითაც შენი წარბები შეუღებიათ? სად აარჩიეს ის მარჯანის ფერი სიწითლე, რომლითაც შენი ტუჩები დაუფერიათ? ოპ ჩემო სიკოსტლის ნაბლიუდატელო და გულის ფანცკალის პაპეჩიტელო! მითხარი, დამავაღე ან მიბძანე რაც ესურს, რომ შეგისრულო. მითხარი რით ვასიამოვნო. შენს მერე, ვფიცავ ფორტუნას, ჩემმა სატრფომ და დღე და ღამე საგონებელმა თვის ჰო მნიშვნელობა დაჰკარგე მისმაგიერ ეხლა შენ მეყვებარ ხატათ და ჯვარათ, ყოველ წუთს შენ გაღმერთებ. თუ შენ მიბძანებ შეუძლებელს შეეძლებ სასწაულს მოვახდენ. სამს და ოთხ განყოფილებას გაუძღვები მარტო მე. ასს შეგირდს ვიყოლიებ, რომ გმირათ გეჩვენო. შენი გულისთვის თუნდა იმ წყეულს უღარჩინესაცო შეყვივარებ, რომელიც სიკლექის ბაცილებს ამრავლებს ჩემს ორგანიზმში. ოთხი „ი“ და სამი „ე“ რა სათქმელია, ათი „ი“ და „ე“ თი ვალაპარაკებ და ვასწავლი ჩემს ტანჯულს შეგირდებს ოღონდ შენი მძანებლა ვავიგონო. შენი აჩრდილი ვადღეფობა იმ ჩემს მშაქებელს მაგარს და რიბლს ნიშნებს და მათ მაგიერ შენს სახეს ვუჭკვრეტ. აბა როგორ არ შეგიყვარო ეგოდენ სიყეთის მქნელი. ერთი შენი შორიდგან დანახვა იმოღენა სიამოვნებას მეგრის, რომ თითქოს ერთი ასი რეეული გამისწორებია გრამატიკული შეცდომებით სავსე, იმ დღეს, როცა შენ ვერაგებდავ, მიჩვენია ბავშვებს „ხორომ“ ვაითხზო და ვიხეთქო თავი. ვანა რა ჩემი ბროლია ქალღორომ პავონებინი აფიკერი ან პოლიციელი არ გამოველი? რატომ არ ვებრალები? რამდენჯერ შენი გზისკენ ყურებაში ბეზაბედათ დაგრჩომილიარ. რამდენჯერ შენს ფაქტებში მთელი ვაკეთილი სტოლთან ვმჯდარვარ ვარინდებული და მომიტენია კლასი. რამდენი პერემენია ათი წუთის მაგიერათ საათნახევარი ვაქმლებულა და შენ კი ვინ იცის გებრალები თუ არა. ვინ იცის ჩემო სიკოსტლე, იქნებ ეხლა მინც ჩემკენ ვადმოხარო სასწორი-მამინ აბას ჩემო სულო, სლაეენიე მიჰყვება. ამ მამრობით სიძვირში ეს სლაეენიე-უშნოყენიეს ვამოიწვევს — ეს კი ვავაზარებს ისე, როგორც ვითომ ედინოვრემენოე პასობიე მიმილია.

ველი შენი ბროლის თითებით და

პასუსს. შენგნით შეცდომებითი სხეულს სპეტიტელ-უნიტელი ნაბლიუდატელ პეტელეჩიქს კაკალაშია წიგნაძე.

„ლოთი ფოთი“



ც ი ც ხ ს ი

გურიის სოფლის მასწავლებლებს ძველათ ერთი ახირებული ჩვეულება ჰქონდათ. ერთი უბნის მეზობლები ხან ერთ ამხანავთან, ხან მეორესთან იკრიბებოდნენ და ერთმანეთს თავის შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ.

ერთ ასეთ კრებაზე ლაპარაკი ჩამოვარდა „ღედაენაში“ ნახმარ ვაუგებარ სიტყვების შესახებ და სხვათა შორის მოყვანილ იქნა მაგალითები „ციცხვის“ შესახებ.

— ერთი ახალგაზდა მასწავლებელი, — სიტყვა ქალარა პედაგოგმა, გატაცებით უხსნიდა თავის მოწაფეებს „მკვებარა ქოთნის“ ამბავს და როცა საქმე ციცხვზე მიდგა სიტყვა: — ციცხვი, ბავშვებო, ციცხვს ნიშნავს. თქვენ ალბათ გინახათ ლანჩხუთში საპარასკეოზე დიდი ცაცხვი დგას და როცა ქოთნებით მოვაჯერ იქ აფენს საქონელს, ცაცხვს. ადვილათ შეუძლია ჩახედოს ქოთნის ძირსო.

მოხუცი პედაგოგის ნამობობმა დიდი სიკლი ხარხარი გამოიწვია მსმენელთა შორის და ერთმა ახალგაზდა მასწავლებელმა, გულიანი სიცილის შემდეგ, ავტორიტეტულათ დასძინა:

— ყველაფერი ყველაფერია, მაგრამ იმ ოხერმა როგორ არ იცოდა, რომ ციცხვი მექოთნეს ერქვაო.



ფიზიკური ვარჯიშობა.



სალი პედაგოგიური პრინციპი აღზრდის საქმეში უბირველესაა ადგილს უთმობს „ფიზიკურ ვარჯიშობას“. ინგლისელებს ამ საგნის შესახებ კანსაკუთრებული ანდაზაც აქვთ: „სალ ორგანიზმში სალი სული ბუდობს“. ფიზიკური ვარჯიშობა ახალთაობას უმტკიცებს ძალღობს და უმაგრებს მუსკულებს, (უმთავრესად ყურებისას). რა თქმა უნდა, „ფიზიკური ვარჯიშობის“ წესი ყველა მასწავლებელს თავისებურათ ესმის.

გაკვეთილები.

პირველი გაკვეთილი.

ყოველ კეთილგანწყობილ სკოლაში პირველი გაკვეთილი საღმრთო სჯულის ეთმობა. ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან ქვეყნისა და თვით ადამიანის შექმნის ისტორიას, (რომლის შესახებ ამ ნომრისათვის ნესტორ ცერცვაძეს წერილი უნდა დაეწერა) საღმრთო წერილი ასწავლის. ჩვენ ამ საგნის შესახებ დღეს არაფერს ვამბობთ არა მარტო იმიტომ, რომ ნესტორ ცერცვაძემ თავისი დაპირება არ შეასრულა, არამედ იმიტომაც, რომ ქართველმა სამღვდლოებამ უკვე მოიპოვა თავისუფლება.

საღმრთო სჯულის შემდეგ უპირატესობით აღჭურვილია რუსული ენა. ქართველი ბავშვისათვის ეს საგანი ძლიერ მიზიდველია, მეტადრე პირველ სამ წელიწადს, როცა ის სწავლობს ცხოვრებაში უსაჭიროეს სიტყვებს,

უმთავრესად კი რუსულ გინებას, რომ მასწავლებლებთან უმრავლესობა პედგოგის უმძლავრესად საფეხურზე სდგას და მიზანს ადვილად აღწევს...

გაკვეთილი მეორე. ვიდრე მოსწავლის ნორჩი გონება სალია, აუცილებლათ საჭიროა მას უფრო ძნელი საგანი შევადლებინოთ და აი, სწორეთ ამ მიზნით




მათემატიკა.

ეთმობა ხოლმე მათემატიკას მეორე გაკვეთილი. უნდა ითქვას, რომ მოსწავლე ახალგაზღვრა მას ხალისით ეკიდება და ხშირათ ფარულ ადგილასაც, მასწავლებელთაგან საიდუმლოთ მეკადინეობენ და სწავლობენ მას. ალბათ ამისთვის აძლევს სკოლები. ჩვენს საზოგადოებას ამდენ ტუზებს.

მესამე გაკვეთილი.

მათემატიკის მძიმე და მომჭანცველ გაკვეთილს, რასაკვირველია, პედაგოგის მოსაზრებითვე ყოველთვის მოსდევს რამოდენაღებთ გამართობი და დამასვენებელი გაკვეთილი „ისტორიის“. აღმზღველებს მოსწავლეები ხშირათ დაჰყავთ საექსკურსიოთ სხვა და სხვა „უბნებში“,




რუსული ენა.



გაკვეთილი მესამე „ისტორია“.

სადაც აცნობენ მათ არსებულ*) სახელმწიფოებრივ წესწყობილების ამო თუ იმ მხარეებს.

გაკვეთილი მეოთხე. ქიშია და ფიზიკა, ეს ქვაკუთხედი ყოველი საზოგადოებრივი მოღვაწისათვის შეტადრე ქიშია ქართველი კაცისთვის იმზომ აუცილებელი საგანია, როგორც წყალი თევზისათვის.



გაკვეთილი მეოთხე — ქიშია.

ჩენდა სასიამოვნო უნდა შენდებოდა, რომ ეს დარგი მეცნიერების განსჯერებასთან ძლიერებით იპყრობს ქართველი ახალგაზღობის გულის ყურს. განსაკუთრებით მიდრეკილებას მისდამი ქართველი სტუდენტები იჩენენ, რომელთაც ამ მხრივ განკვირებაში მოკყავეთ მთელი რუსეთი და ხშირათ ევროპაც. ქართველ ქველმოქმედთ შეუძლიათ თავმოწონებით თქმა, რომ მათი ფული უმიზნოთ არ იკარგება. ვინაიდან „ქიშიოს“ სტუდენტთა შორის პირველობას სტიპენდიანტები იჩენენ ხოლმე.

გაკვეთილი მეხუთე

ბუნების მეტყველებას უპირვესი ადგილი უჭირავს ადამიანის და მათსადამე სკოლის ცხოვრებაშიც.



გაკვეთილი მეხუთე — ბუნების მეტყველება.

ენება სილამაზისა და ბუნების მრავალფერობისა თავისთავად გულისხმობს იმ გატაცებას, რომელსაც იგი უნდა იწვევდეს კიდევაც მოსწავლე ახალგაზღდათა შორის. სიყვარული ბუნებისადმი თანდაყოლილი თვისებაა ყოველი ადამიანისა და ამ გრძნობის განვითარებას ხელს უწყობს რასაკვირველია საღი სასკოლო აღზრდის პრინციპებიც.

*) როგორც „განმარტებაში“ მოგახსენეთ ეს ნაშრომი დაწერილია იმ დროს, როცა რუსეთში მონაწილეული მართა გამგეობა იყო.

გაკვეთილი მეექვსე.

ჩვენს სკოლებში არც თუ სამშობლო ენა არის უარყოფილი. მას დათმობლი აქვს მეექვსე გაკვეთილი




მეექვსე გაკვეთილი—სამშობლო ენა.

და მოსწავლე ახალგაზღვრებაც ყოველის საშუალებით სცდილობს საფუძვლიანათ შეისწავლოს თავისი დედა—ენა.

დასვენება და ოცნება

ექვსი საათის შიში შრომითა და მეცადინეობით დაქანებული ახალგაზღვრება საღამო ხანს ოჯახს უბრუნდება და სადილს შემდეგ ისვენებს მცირე



ხნით, რათა დაიმშვიდოს ნერვები და კუნთები. ამ მოკლე დასვენების დროსვე ოცნებობს იგი ცხოვრების სხვა და სხვა საკვირბოროტო საკითხებზე, თუ ახალგაზღვა უკვე გიმნაზიის მეოთხე კლასშია გადასული, მას უნებლიეთ ებადება კითხვა:

— განა ღირს ამდენი წვალება, უმჯობესი

არ არის სკოლას თავი დაეანგებოდა ჩემი კაცია შევიერთო, სოფელში ჩავსახუდე და მწებრობიანათ ვიცხოვროო.

ასეთი ტყბილი ოცნება ზოგჯერ სიზმარშიც გადადის.

ეშმაკი.

შარადა.

ვინაც კი დასწერს შარადას, ჯერ კოლოს უნდა უქბინოს, ზოგი „ზუხილას“ უძახის, ზოგიც „სულელს“ და „უტვინოს“. რა დააშავა ამგვარი კოლომ არ იცის ახლაცა. შარადას კარგს წერს (მოწამეთ ძირს მიწა მოჰყავს, მაილა ცა). და კვლავ შეუდგა ამ საქმის აწყობას ძველებურადა... (დუ სხვანი მოშარადენი აწ გარდაიქცენ შურადა!)

ლითონი გახლავთ ერთგვარი, ვერცხლისა მისამსგავსები (თუმც მისი მაჩანჩალაა ქვემოთ უზის ფასები.) ბებია თქვენმა იცოდა უმარულისთვის ხმარება... (ლექებსაც უიმლითონოთ ერთდღეს არ გაეხარება). სპილენძის ქურქულს თუ იგი მალამოთ არ აფენია, სიკვილს გეჭიადის იმში მონახარშავი წვენია.

ფფქრბო, იზოვეთ ლითონი, რომლის გვმართებდა ძიგბა... არც ერთსა ნიშანს იმისას არ უნდა გამოტობა.

აწ ვნახოთ ცრემლი ყვაილითა,
თვალს მარგალიტნი ჰქილია,
როცა სხიეს შვისას გულთ იკრავს,
შშეენება მისი ღიღია.

კამკამებს ვითა ვარსკვლავი
ცად მოვლევარე ობლათა...
(ქალაქში იშვიათია,
ხშირი მინდორი-ველ სოფლათა).
გასქვრით იგი სახელი
ორ ნაკეთად, თანასწორეთა
და ნოტს არ ნიშნავს, რომელიც
თავიდან შოიშორეთა.

შზადა გვაქვს მთელი მისაღა,
შხოლოდ გვიჭირია შენება:
ლითონი რომ ჯობს საძირკველათ
თქვენ თითონ მოგეტყვებთ.

ნაკეთი მეორე დავადგათ
იმა საძირკველს თავადა
და ნივთს მივიღებთ პატარას,
საამოს სანახავადა.

იარაღია უებრო,
სკრის ხმაღზე უფრო მკვეთრად,
იციის ნავარდი თუ ჰპოვა
მინდორი გულ-მკერდ თეთრად.
ძალა აქვს სტიქიონისა,
თუ ხელი მართავს რჩეული
(თვით ზარბაზანი, მქუხარე,
ნახულა მისგან ძლეული).

მაგრამ, თუ ბრიყვმა იღვლა,
რევენემა ამაუშავა,
თუნდ ააქრულოს მთა ველი,
თუნდ ამოაშროს ზღუ შავა,
მისგან არარა გამოვა
თვინიერ წყალია ნაკვისა,
ღირებულების სანაცვლოდ
ქვეყნად მოფენა ნაკვისა.

აწ გავათავოთ. ვინც უკვე
აღმართა ძლევის აღმომი,
მას ეშმაკისა კურთხევა
და ჩემი ძმური საღამი.

კოდო.

სიძაჩლუჯი ავთიკოგა

არა, ქვეყანა რომ ტრიალებს, ამაში ახლა ექვს
ველარავინ შეიტანს! ნახულა ამისთანა ამბავი? ე-
ნინოშვილის ტარიელ მკვლავადე სპ. მცირიშვილს
სოფლის მასწავლებელს, ასე ახსიათებს:

— კოლო, ბაღლინჯო, მათხოვარიცა! ცალი
ფეხის მერტ, არც ხელს ვიხმარ და არც იარაღს, ისე
გავლახავ, ეს უფრო სსსაცლო იქნება და უფრო
მოეწონება მის ლამაზ კოლს!“

ეს იმერეთში.

ახლა ქართლ კახეთის ბრწყინვალეებს როგორ
აღაპარაკებს ვაეფშეველა თავადი ფშატაძის პირით:

— „შტო ტაკოი ფშატაზე, კნიაზ ფშატაძე?
ნასტაიაში ქუჩუკ ყარამანა შტოტაკოი უჩიტელ?
ნულ! შტოტაკოე შკოლა! ედინიცა! კამპანიაში
კიდევ უჩიტელო ღმერთმა გადღეგრძელოსო“ მა-
მასახლისის და მწერლის შეგმდე მინართავენ ხოლმე
სოფლის მასწავლებელს. ეს შეზარბოშებული საქარ-
თველო ეპყრობა ასე მასწავლებელს. ოხუნჯი სა-
ქართველო კიდევ სიტყვა „პედაგოგს“ სოფლის
მასწავლებელს აწერს და ასე განმარტავს — „პე“ —
თხას ქვიან ე. ი. სიტყვის ეს ნაწილი ბავშვებს ნი-
შნავს. „გოგი“ კიდევ იმის მწყემსი ე. ი. პე და
გოგი უჩიტელი თხის მწყემსიაო!

აბა ახლა გაბედოს ვინმემ მსგავსი რამ! გუშინ
დაბრუნდა ჩვენი უჩიტელი მაქსიმე მანონიშვილი,
ავათ ვარო უთქვამს და ექვსი თვით გაუუთავისუფ-
ლებიათ. ცოტა გულნატყვიკია! „თურმე რომ არ
დაეებრაკე, პრაპორჩიკის სკოლაში გამოშობდენ და
სამ თვეში აფიცრათ გამოვიჯიგებოდიო! თურმე
ყველა ხანსადი, ოცდაათ წლამდინ აი სამ თვეში
აფიცარი იქნება; ოცდაათზე მეტს უთხრებს: თუ
ინტებთ, თქვენც შეგიძლიათ. მხოლოთ ძალას ვერ
დაგატანთო. მერე კიდევ იცით რა უთქვამთ ჩვენი
მაქსიმესთვის? არა, სიმართლე რომ არ დაიფარება?
უთქვამთ: „სეღანთან ნემციის მასწავლებელმა გაი-
მარჯვაო“ რო ამბობდენ, თურმე მაშინდელმა მოლო-
ტკემ უკანასკნელი იერიშის დროს ახლათ გააფი-
ცრებული სოფლის მასწავლებლები მიუსია ფრან-
კუზებს და დაამარცხო. ამდენ ხანს კი ამას რალაც
განათლებით ხსნიდენ. აი ყველა ეს ამბავი მოიტანა

საქართველო
საზოგადოებრივი

სამაგალითო კლავრდა

ვოლტერიდან.

ჩვენმა მაქსიმემ და მე ოცდა ათს კი არა ორმოცდა ათსაც ვადავებოდი და პირადათ ვერც აფაქრობას ვეღირებდი და ვერც უბრალო ჯარის კაცობას, მარა მაინც მიხარია: ჩემი ახალგაზდა კოლეგები ქე მაინც ეღირსებთან კოტაოდენ პატივისცემას. მაშინ ველარ დაჩაგრავს მკლავად, ფშატადე და ვერც ბოქაული გაკრეკავს თმას*).

სიბერეში სიქაჩლეს მოელოდეთ ნათქვამია და ახლა შეგვიძლია ასე შევატრიალოთ—სიქაჩლემი აფაქრობას მოელოდეთ.

ემშაკეული მატრო.

პირდაპირი თარგმანი.

ერთი მეთის მეთად „მეავე პატრიოტი“ მას-წავლემელი დაეინებით ამტკიცებდა:

— სწავლა-აღზრდის საქმე წმინდა ეროვნულ ნიადაგზე უნდა იდგეს და ვეცალოთ არც ერთი უცხო სიტყვა ჩვენს ენას არ შეეხიზნოს, ხოლო თუ შეეხიზნა უნდა მოვსპოთო. ჩემის აზრით სჯ. თარი სახელებიც ქართულად უნდა ვთარგმნოთო.

— მეც სწორეთ მაგის მომხრე ვარო, მიუვო შემთხვევით იქ მყოფმა ეშმაკმა თქვენნი სალი მსჯელობით პირდაპირ მაგონებთ რუსეთის პედაგოგს დიდ ყურაძესო.

გაცხარებული პედაგოგი მხოლოდ მაშინ და-აწყენარეს, როცა აუხსენეს: „დიდ ყურაძე“ პირდა-პირი თარგმანია „Великий Ушинский“-საო.



პირველათ მოიწვიეს მშობლებმა ახალგაზდა მარკიზისთვის აღმზრდელი. მან, რომელიც ჩამუ-ლობით კოპწია და ნამდვილათ-კი დიდი რეგენი იყო, თავის მოწაფეს ვერაფერი შესწავლა. მამას სურდა, მის შვილს ლათინური ესწავლა,—დედას-კი ეს არ უნდოდა. გადასწყვიტეს ავტორიტეტულ მწერლისთვის მიემართათ, რომელიც თავისი მოთხ-რობებით განთქმული იყო. მწერალი ნაღიშზე მო-იწვიეს. ოჯახის უფროსმა სტუმარს მიმართა:

— „ბატონო, ვინაიდან თქვენ ლათინური იცით და ვინაიდან თქვენ სასახლის კაცი“...

— მე ლათინური! ლათინური მე არც ერთი სიტყვა არ ვიცი,—უპასუხებს დიდებული კაცი,— მადლობა დმერთსა, ეს ხომ აშკარაა, რომ საკუთარ ენაზე თავისუფლათ ლაპარაკობს ის, ვინც თავის გონებას არა ჰყოფს თავისა და სხვის ენათა შო-რის, ამა გადახედეთ ჩვენს ქალებს, მათი გონება უფრო მშვენიერია, ვინემ მამაკაცის; ისინი ასჯერ მეტი სინანარით სწერენ მოკთხვის წერილებს და ეს უპირატესობა იმიტომა აქეთ რომ ლათინური არ იციან.

— „აი, ხომ მართალი ვიყავი მე, სთქვა დე-დამ, მე მინდა ჩემი შვილი ჰკვიანი კაცი გამოე-დეს და საზოგადოებაში წარმატება მოიპოვოს. და თურმე მის ლათინური რომ ესწავლა სულ დაიღუ-პებოდა. განა ლათინურათ თამაშობენ კომედისან ოპერათ? განა სასამართლოში დამცველები ლათი-ნურათ ამბობენ სიტყვებს? მამამ ბოდიშიც მოიბა-და. გადასწყდა, პატარა მარკიზს უბრალოთ დრო არ დეეკარგა ციკერონის, გორაციოს და ვირგი-ლიას შესწავლაზე. „მეგარა რაიმე ხომ მაინც უნდა ისწავლოს? იქნება კოტა ოდენი გეოგრაფია შე-ვასწავლოთ“?

— „რათ უნდა მის გეოგრაფია, განაცხადა აღმზრდელმა; როცა ბატონი მარკიზი თავის მამუ-ლებში წამბრძანდება, ნუ თუ მეგეტლეს გზა და კვ-ლი აებნევა? დარწმუნებული ბრძანდებოდეთ“

*) ამ ხუთი წლის წინეთაქაულებმა ივარიუკმა გაა-კრეჭა მასწავლებელი - არ მამწონს შენი გრძელი თმაო.

ისინი გზას არ გადაუხვევენ. მოგზაურობისთვის სრულებითაც არ არის მერიდიანებისა და ტროპიკების ცოდნა,

— თქვენი მართალი ხართ, — სთქვა მამამ, — მაგრამ მე ერთი კარგი მეცნიერება გამოვიცა, რომელსაც თუ არა ვეცდები ისტორიოშია, ჰქვინა?

— აბაფერია, უპასუხა აღმზრდელმა, განა ამ ქვეყნათ ვარსკვლავებით ხელმძღვანელობს ვინმე? განა ღირს ბატონმა მარკიზმა მზის დაბნელების წუთების გამოანგარიშებაზე იწყალოს? რადესაც მას შეუძლიან სისწორით ამოიკითხოს ყოველივე ეს აღმანახში.

დღეა საცემითი თვანხმებოდა აღმზრდელს, პატარა მარკიზი სიხარულით ცას ეწვოდა, მამა კიდე უყვანიადა. „რალაცა ხომ უნდა ვაქვალეო ჩემ შვილსა?“ ეგ რალაცა არის ის, რომ იყოს ყველასთვის მოსაწონი. — უპასუხა ერთმა მეგობარმა რომელსაც რჩევა სთხოვეს, — და თუ მან შეისწავლა მოწონების საშუალებანი ამით მას ყველაფერი ეცოდინება: ამ ხელოვნებას იგი თავის დედისგან შეითვისებს ნამდვილათ, რომ არც ერთ მათგანს ამისთვის არავითარი შრომა არ დასჭირდება.

— ამ სიტყვებისთვის დედამ ხელები მოხვია მშვენიერ რევებს და უთხრა: — ახლა უკვე ცნობილია, რომ თქვენ კარგი გამოცდილი კაცი ბმანდებით; მთელ თავის აღზრდაში ჩემი შვილი თქვენი მოვალე იქნება, მაგრამ, მე მგონია მეტი არ იქნება, თუ ცოტაოდენი ისტორია ეცოდინება ჩემ შვილს.

— აბა რათ უნდა ქალბატონო მის ისტორია? უპასუხა მან, — სასიამოვნო და სასარგებლო მხოლოდ და მარტო დღევანდელი ისტორია იქნება, ყველა ძველი ისტორიები, როგორც ერთი ჩვენი დიდებული გვაში ამბობდა, — მხოლოდ ნიშნობლივი ზღაპარია, ჩვენი დროის ხალხისთვის კი — ხალსია, რომელშიც შეუძლებელია გარკვევა. აბა რა თქვენი შვილის საქმეა, რომ კარლოს დიდმა საფარანგეთში თორმეტი პერობა დააწყესა და მისი მოადგილე-კი ენა ჩლუნგი იყო“. მშვენიერათ არის ნათქვამი, წამოიძახა აღმზრდელმა: ბაშვის გონებას აღმზრდებენ აუარებელი სხვა და სხვა უსარგებლო ცნობებით, მაგრამ ყველაზედ მეტი სიბუნე ჩემის აზრით ის არის, რომელიც სხვებზედ ძლიერათ ახმობს ადამიანის გენიოსობას, — გეომეტრია. ამ სასა-

ცილო მეცნიერების საგანს შეადგენს ხელმძღვანელი არ არსებული ზედაპირები, ხაზები, წერტილები. იგი ასწავლის რველ და შეხებითი ხაზების, გონებით წარმოდგენილ, ათას უსწორო ხაზების გაყვანას, თუმცა ნამდვილათ შიგ ერთი პატარა ნამცეცეცი არ ჩაეტევა. სინამდვილეში გეომეტრია ვილაცის მოგონილი სიძაგელი ხუმრობაა.

მშობლებს არც — კი ესმოდათ, რისი თქმა სურდა აღმზრდელს, მაგრამ მაინც ყველაფერში ეთანხმებოდნენ. — ისეთმა ცნობილმა პირმა, როგორც ბატონი მარკიზი, განაგრძობდა აღმზრდელი, სრულიადაც არ უნდა გამოიფიტოს გონება ამგვარი უზუნური მეცნიერებით. თუ ვინცობაა როდისმე დასჭირდება მცოდნე გეომეტრი რომ მისი მამულებიდან გეგმა გადაიღოს, იგი შესძლებს ფულით დაიჭიროს. თუ იგი მოისურვებს თავის წინაპართა სიძველის გავებას, რომელიც უსსოვარ დრომდე აღწევს, ის დაიბარებს ბენედიქტელ ბერს. ასევეა სხვა — დანარჩენი ხელოვნების შესახებაც. ბენდიერ შემთხვევად დაბადებული ახალგაზდა არც მხატვარია, არ მემუსიკეა, არც ხუროთ მოძღვარია და არც მექანდაკეა; მაგრამ იგი ხელს უწყობს ყველა ამ ხელოვნების აყვავებას, თავისი გულკეთილი მფარველობით წაქეზებით. ექვს გარეშეა, მათთვის მფარველობა უფრო სასარგებლოა, ვინემ ის, რომ თითონაც მათსავით შრომაში ჩაებას; საკმარისია ბატონ მარკიზს საუკეთესო გემოვნება ჰქონდეს, მეშობაბა-კი — მხატვრების საქმეა. ამიტომ სრულიად მართალია ვინც ამბობს: პატიოსანმა ხალხმა (მე ვგულისხმობ მხოლოდ მდიდრებს) ყველაფერი იციან, თუმცა არაფერი უსწავლიათ, რადგან დაბოლოს მაინც სწავლობენ ყველაფერის დაფასებას რასაც უყვეთავენ და რაშიაც ფულს იხდიან“.

მაშინ მშვენიერმა რევებმა სთქვა: „ქალბატონო! თქვენ ძლიერ მარჯვეთ შენიშნეთ, რომ კაცის მთავარი მიზანია, — საზოგადოებაში წარმატება, მაგრამ დალაგებით რომ განესაჯოთ, განა ამ წარმატებას სხვა და სხვა მეცნიერების შესწავლით იძენენ? განა ვისმე თავში მოსვლია რომ კეთილშობილთა საზოგადოებაში გეომეტრიაზე ებაძან? განა პატიოსან კაცსა კითხვენ ხოლმე, რომელი მნათობი ამოვიდა დღეს მზესთან ერთათა? — „რასაკვირველია, არა, დიძახა მარკიზი დე-ეანოტერმა, რომლის სიკეკლუცეც

ხშირად აღღევდა საშუალებას მალალ საზოგადოებაში ყოფნისას; და ჩემი შეიღმაც არ უნდა დაიხშოს გონება ყველა ამ ფუქსავატომის შესწავლით; მაგრამ, ყოველ შემთხვევაში ახალგაზდა ბატონმა, უნდა იცოდეს რამე, რომ იჩინოს თავი, როგორც ჩემი ქმარი იხახის ხოლმე. მე მაგონდება, რომ ერთი მღვდელი ამბობდა, ყველაზედ სასარგებლო მეცნიერება არის... დამავიწყდა რა ჰქვიან, მაგრამ ასო გ-ზე იწყება“. — გ-ზე ქალბატონო? შეიძლება გეოლოგია იყო? — არა, არა, მას გეოლოგიაზედ არა უთქვამს რა; ხო, ხო, იწყება ასო გ-ზედ და თავდება კა-ზე. ხო-ო, ვიცი: ეგაა გეროლდია; დიახ ეგ მართლა ღრმა მეცნიერება, მაგრამ ახლა ეგ მოდაში აღარ არის

მას შემდეგ, რაც დახურულ ქუჩაში, კარებების გერბებით მოვარაყების ჩვეულება გადაადდეს; ეს ყველაზედ სასარგებლო საქმე იყო გონიერულად მოწყობილ სახელმწიფოში. მაგრამ დღეს ეგ მეცნიერება დაუსრულებელი რამე იქნებოდა; რადგან ეხლა არც ერთი დალაქი არ არის რომ საქუთარი გერბი არა ქონდეს, და ხომ მოგეხსენება რომ რაც საერთოდ ყველასგან მიღებული ხდებოდა იგი მაშინვე პატრისცემის ელფერსა ჰკარგავს.

და ბოლოს როცა კარგათ გაქექეს ყველა მეცნიერების ღირსება — ნაკლულევიანება, გადასწყვეტეს რომ პატარა მარკიზი ისწავლის მხოლოდ ცეკვას.

ან. ხიზანაშვილი.

1917 წლის 16 მკათათვიდან


ქ. თფილისში გამოდის ყოველ-კვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი.

სოფლის მუშა

ამხანაგებს ვთხოვთ ჰარტიულ ორგანიზაციებისგან, გლეხთა საბჭოებისგან, და აღმასრულებელ კომიტეტებისგან შემოწმებული ცნობები და საჭირო მასალა მოგვაწოდონ.

ჟურნალი ღირს წლიურად — 10 მან., ნახევარი წლით — 5 მან., 3 თვით — 2 მ. და 50 კ. თვით — 80 კ. საზღვარ-გარეთ ორჯელ მეტი.

ფული და მასალა გამოგზავნება შემდეგ ადრესზე: Тифлиси, дворецъ, Въ ред. журнала „Соплиси муша“ Иосифу Георгіевичу Иремашвили.



„მ რ თ მ ბ ა“

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის

ბაზეთი ღირს კოგორც თფილისში, ისე კოვიცეციაში მთელი წლით 15 მანეთი, ნახავარი წლით 8 მ. საში თვით 4 მან 20 კაპ., ძრთი თვით 1 მან. 40 კაპ

კახეთის ფასი ხელის მოწერლებმა წინდაწინ უნდა გადაიხადონ, ნისიათ არავის კავკასიანებ ფოსტით ხელის მოწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисть, почтовый ящикъ № 199, Власію Малакіевичу Бохохадзе.

თფილისის ხელის მოწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „მანათლებლთა“ ოფლას ქუჩა №6.

ყოველ-კვირეული იუმორისტული გამოცემა

მ მ მ მ მ მ მ მ

მიიღება ხელისმოწერა 1917 წლისათვის

ჟურნალის ფასი:	12 თვით	9 მ.	—
	6 თვით	5 მ.	— კ.
	3 თვით	2 მ.	50 კ.
	1 თვით	—	90 კ.

ეშმაკის მათრახში დაიბეჭდება მხოლოდ იუმორის-ტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, არაკები, შარადები, გამოცანები, ნაკვეთები და სხვა.

ფრანკლის სახაბარკო და სალიბარატორო მხარას განაგებს ეშმაკი, ხოლო გამოცემის საქმეს კანტორა „მანათლებლთა“

რედაქცია სთხოვს როგორც თანამშრომლებს, ისე ხელის მოწერლებს რომ მისაღები და ფული ამ ადრესზე: გამოგზავნონ Тифлисть, С. Р. Таварткиладзе, Ольгинская, 6 поч. ящ. № 96.

„შევარდნები“ და უვაკი



ქუთაისის „შევარდნები“. თუ თავი არ დაგვიკრას მოდი ერთი ლაზათიანათ ავადოთ ამ ყვანჩალას. (მოკრძალებით დაუკრა, მაგრამ მინც ააღვეს).